

2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა გეოგრაფიაში

გეოგრაფიის გამოცდაზე მოწმდება შემდეგი უნარები:

- სივრცეში ორიენტირება;
- ინფორმაციის ორგანიზება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და ანალიზი;
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა;
- საზოგადოებრივი პრობლემების გააზრება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. გეოგრაფიის შესავალი	
გეოგრაფიის მეცნიერების შესავალი, სტრუქტურა და კვლევის საგანი	• გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; • მეცნიერება გეოგრაფიის განვითარების ისტორია; • გეოგრაფიის მეცნიერების სტრუქტურა და ცალკეული მიმართულებების დეფინიციები; • კონტინენტების მკვლევრები და მოგზაურები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა (მარკო პოლო, ქრისტეფორე კოლუმბი, ფერნანდო მაგელანი, ვასკო და გამა, ამერიგო ვესპუჩი, კონკისტადორები, აბელ ტასმანი, ჯეიმზ კუკი, დევიდ ლივინგსტონი, ფაბიან ბელინგსჰაუზენი, რუალ ამუნდსენი).
რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება	• სხვადასხვა ტიპის რუკები (რუკის კითხვა, ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, გეოგრაფიული კოორდინატები, ეკვატორი, გრინვიჩის მერიდიანი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, იზოხაზები, საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა); • დავალებების შესრულება სხვადასხვა ტიპის რუკების, მათ შორის, ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით. მოცემული ინფორმაციის სხვა სახით (განსხვავებულ ფორმატში) გამოხატვა; • სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, დიაგრამა, ინფოგრაფიკი, აერო და კოსმოსური სურათები) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი და ამოცანების გადაჭრა; • საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა (მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები - მსოფლიო ოკეანის ნაწილები, კონტინენტები და მისი ნაწილები, რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები); • რუკისა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებების გამოყენებით კონტინენტების, რეგიონების, სახელმწიფოების, კლიმატური სარტყლების, ბუნებრივი ზონებისა და ლანდშაფტების კომპლექსური დახასიათება; • სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები და მათი მუშაობის პრინციპები (კომპასი, თერმომეტრი, ბარომეტრი, ნალექმზომი, ფლუგერი,

	ანემომეტრი, ჰიგრომეტრი, სეისმოგრაფი, ექოლოტი, თანამედროვე სანავიგაციო სისტემები (ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემა (GPS)).
2. საბუნებისმეტყველო გეოგრაფია:	
პლანეტა დედამიწა	• დედამიწის ადგილი მზის სისტემაში; • დედამიწის ფორმა და სიდიდე; შინაგანი აგებულება; მოძრაობა მზისა და წარმოსახვითი ღერძის გარშემო; დღე-ღამე; სეზონები; • სასაათო ზონები და თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი.
ლიტოსფერო	• ლიტოსფეროს აგებულება და შემადგენლობა; • ვეგენერის კონტინენტების დრეიფის თეორია, ფილების ტექტონიკა; • ენდოგენური და ეგზოგენური პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; რელიეფის გავლენა კლიმატსა და მეურნეობაზე.
ატმოსფერო	• ატმოსფეროს აგებულება და ქიმიური შემადგენლობა; • ამინდი და ამინდის კომპონენტები; • მზის რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით; • ატმოსფერული წნევა; ჰაერის ტენიანობა; სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ფიონი); • ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი); • კლიმატური სარტყლები და ბუნებრივი ზონები; • კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები, კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა).
ჰიდროსფერო	• მსოფლიო ოკეანის თვისებები (წყლის ტემპერატურისა და მარილიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები) და შემადგენელი ნაწილები; თბილი და ცივი დინებების გავლენა ჰავაზე; ცუნამი; ელ-ნინიოს ფენომენი; • მდინარის აუზი და მისი ნაწილები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები, მიწისქვეშა წყლები (საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა მეურნეობაზე).
ბუნებრივი რესურსები	• ბუნებრივი რესურსების გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია, არათანაბარი განაწილება, რესურსუზრუნველყოფა და რაციონალური გამოყენება (აგრო-კლიმატური, მიწის, მზისა და ქარის რესურსები, მინერალური წყლები, სასარგებლო წიაღისეული).
გლობალური გეოგრაფიული პროცესები	• კლიმატის გლობალური ცვლილებები; • გლობალური და რეგიონალური მასშტაბის სტიქიური მოვლენები; • მყინვარების დნობა და მტკნარი წყლის პრობლემები.

3. საზოგადოებრივი გეოგრაფია:	
მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და ქვეყნების კლასიფიკაცია	- ქვეყნები მმართველობის ფორმის, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და პოლიტიკური რეჟიმების მიხედვით; მსოფლიოს რეგიონები და მასში შემავალი სახელმწიფოები, სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენებით მათი კომპლექსური დახასიათება (მდებარეობა და საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა); - ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (მშპ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ჰგი, ჯინი, კოფ ინდექსები); - მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული).
მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია და დემოგრაფია	- მოსახლეობის განაწილება დედამიწაზე; მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება ისტორიული წარსულიდან დღემდე; დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ბუნებრივი მოძრაობა, შობადობის, მოკვდავობის, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები), მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები და მსგავსება-განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; დემოგრაფიული გადასვლა; დემოგრაფიული პოლიტიკა; - მიგრაციის ტიპები და ფაქტორები (ეკო-მიგრაცია; ლტოლვილები, დევნილები); განსახლების ტიპები; - ურბანიზაცია; ურბანული ლანდშაფტები და თანამედროვე ურბანული პრობლემები.
მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა	- ეკონომიკის სექტორები (პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული და მეხუთეული დარგები); - მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები (სოფლის მეურნეობა და „მწვანე რევოლუცია“; ენერგიის ალტერნატიული წყაროები - „მწვანე ენერგეტიკა“).
გლობალური თანამშრომლობა	- საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციები, ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, წითელი ჯვარი, ბისეკი, ბრიქსი, სოკი, ოპეკი, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია); - ქვეყნების დაჯგუფება - ჩრდილოეთი და სამხრეთი; - გლობალიზაცია და გლოკალიზაცია; - ტრანსნაციონალური კორპორაციები.
გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება	მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა (გაუდაზნოება; ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილები“ და დაცული ტერიტორიები; „ზურმუხტის ქსელი“; ნარჩენების მართვა; ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიტიგაცია და პრევენცია; რესურსული ომები; ეთნო

	კომფლიქტები და ტერორიზმი; მშვიდობის დაცვა; იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა; უთანასწორობის შემცირება და აღმოფხვრა; ქალაქის პრობლემები; კიბერუსაფრთხოება; რესურსების განაწილება და ხელმისაწვდომობა; მდგრადი ტურიზმი; ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა).
4. საქართველოს გეოგრაფია:	
საქართველოსა და კავკასიის მდებარეობა	- საზღვრები, ფართობი, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის ფორმა; - ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების ვერსიები.
საქართველოს ბუნების კომპონენტები	- რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები; - ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები; - ამინდის ელემენტები და ჰავის ტიპები; - შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები, მიწისქვეშა წყლები); - შავი ზღვა; - ფლორა და ფაუნა; - ტყის ფონდი; - ნიადაგის ძირითადი ტიპები და გეოგრაფია; - საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსების გეოგრაფია (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, საშენი მასალები, მინერალური და თერმული წყლები).
გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები	- ატმოსფეროს და წყლის დაბინძურება; ნიადაგის დეგრადაცია; სანაპირო ზოლის პრობლემები; ტყის ჩეხა; - მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, წაყალმოვარდნა, სეტყვა, გვალვა, ხანძრები.
ბუნების დაცვა	დაცული ტერიტორიების ტიპები, საქართველოს დაცული ტერიტორიები, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი, წითელი ნუსხა.
საქართველოს მოსახლეობა	- მოსახლეობის დინამიკა და განსახლება; - ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფია; - დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები; - მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნიკური, რელიგიური).
საქართველოს მეურნეობა	მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.
საქართველოს რეგიონები	თბილისი, კახეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია, აჭარა, აფხაზეთი; სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენებით მათი კომპლექსური დახასიათება (მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ღირსშესანიშნაობები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები).